

## კანონი დროის შესაბამისი ცვლილებები უნდა შევიდეს

დადგა 2015 წელი. ეს უკვე მესამე წელია მოქმედებაშია საქართველოს კანონი „**ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ**“. ყველა გრძნობთ და იცით, რომ ძალადობრივი წარსულის პირმშო ხარვეზების, თვითრეგულირებაზე დაფუძნებული მონოპოლიური და კორუფციული ზრახვების შემცველი დებულებების გამო, აღნიშნული კანონი ფაქტობრივად არ მუშაობს. შედეგად, **კერძო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვა სავალალო მდგომარეობაშია; აუდიტორთა უმრავლესობას პრაქტიკულად წაერთვათ ფუნქციონირების შესაძლებლობა, შეფერხდა პროფესიისა და დარგის განვითარება, რაც მთლიანობაში, პირდაპირ თუ ირიბად, ბიუჯეტის შესრულებაზე, შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკაზეც უარყოფითად აისახება.**

დღეს უკვე ეჭვგარეშეა, რომ არსებობს დაინტერესებულ პირთა წრე, რომლებმაც ან უკვე ღიად მოახდინეს თავიანთი პოზიციების სრული ლუსტრაცია, მათ ხელს აძლევს შექმნილი ვითარება (არ აწყობს კანონში ცვლილებების შეტანა) და უნდათ ხელოვნური უპირატესობის გახანგრძლივება.

ამკარაა, რომ „**ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ**“ მოქმედი კანონი, ყველა ნიშნის მიხედვით, მხოლოდ დამკვეთთა მონოპოლიურ, კორუფციულ მიზნებს ემსახურება.

ჩვენ არაერთხელ გამოვთქვით მოსაზრებები და წინადადებები ვითარების სტაბილიზაციის და რაციონალური გადანყვეტილებების მისაღებად, თუმცა სხვადასხვა მიზეზთა გამო, ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა ფაქტობრივად შეფერხებულ (მათ შორის, კომპეტენტური ორგანოების და აღიარებული სპეციალისტების) პოზიციათა სრული რეალიზაცია. სალი აზრის საერთო ძალისხმევის შედეგად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ინიციატივით მოქმედ კანონში ცალკეული დებულების ამოქმედების ექვსი თვით გადავადება, რაც აღვიქვით, როგორც კანონის რეგულაციის სფეროში შექმნილი (დაპირისპირებული) ვითარებიდან დროებითი (და არა საბოლოო) გამოსავალი.

ვიმედოვნებთ, რომ „**დამატებითი დრო**“ (კანონის ცალკეული მუხლის ამოქმედების გადავადება) მართლაც მოხმარდება ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სფერო სწორმალური ფუნქციონირებისთვის საჭირო რეგულაციების შემუშავებას.

პირველყოვლისა, აუცილებელია (და ეს ევროდირექტივებთანაცაა განსაზღვრული):

- შეიქმნას დამოუკიდებელი საზედამხედველო მარეგულირებელი ორგანო (არსებითი მნიშვნელობა არ აქვს თუ რომელ უწყებას მიეხება მისი ინსტიტუციური მოწყობა);
- პროფესიულ ორგანიზაციებს შეექმნათ თანაბარი სასტარტო პირობები (შემდგომ, მოვლენების განვითარება თვითონ გამოხშირავს მათ შორის სუსტსა და ფორმალურ წარმონაქმნს);

საჭიროა ამ ორი პრინციპულად მნიშვნელოვანი და კონსტრუქციული წინაპირობის აღსრულებაზე ურყევი ნების გამოხატვა და ჭეშმარიტად პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული ძალების კონსოლიდაცია, რაშიც აუცილებელია თქვენი მხარდაჭერა.

2015 წელი უნდა იყოს სერიოზული გარღვევა მიზანდასახულობათა რეალიზაციისთვის. სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად, რომლის გახორციელებასაც გისურვებთ, ესაა ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისთვის მართლაც მნიშვნელოვან კანონში დროის შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

ერთგვარი ანგარიშის ნიშნად, ცნობისა და განსჯისთვის უკომენტაროდ გთავაზობთ რამდენიმე წერილს, რომელიც ასახავს ჩვენს ძალისხმევას და მასზე საპასუხო რეაქციას.

**იური პაპასქუა**

აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა  
ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი



## საქართველოს კანონი

### „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)), 13.07.2012, სარეგისტრაციო კოდი: 260000000.05.001.016869) მე-16 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონში აღნიშნული ბუღალტრული აღრიცხვის დროებითი სტანდარტები მოქმედებს 2015 წლის 1 ივნისამდე.“;

ბ) მე-7 და მე-8 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ფინანსური ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად მომზადება სავალდებულოა 2015 წლის 1 ივნისიდან, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამასთანავე, 2015 წლის 1 ივნისამდე სუბიექტს უფლება აქვს, გამოიყენოს ეს სტანდარტები.“

8. ფინანსური ანგარიშგების მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) შესაბამისად მომზადება სავალდებულოა 2015 წლის 1 ივნისიდან, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამასთანავე, 2015 წლის 1 ივნისამდე სუბიექტს უფლება აქვს, გამოიყენოს ეს სტანდარტები.“;

გ) მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – აკრედიტაციის ერთიანმა

ეროვნულმა ორგანომ – აკრედიტაციის ცენტრმა ამ კანონის მე-11 მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული აკრედიტაციის წესი 2015 წლის 1 ივნისამდე წარუდგინოს საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს.“;

დ) მე-15 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„15. 2015 წლის 1 ივნისამდე აუდიტორების/აუდიტორული ფირმების პროფესიულ ორგანიზაციებში გაწევრება არ მოითხოვება.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი



გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

12 დეკემბერი 2014 წ.

N2956-ის



აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაცია  
THE FEDERATION OF AUDITORS ACCOUNTANTS AND FINANCIAL MANAGERS

№ ად-1

15. 09.2014 წ

საქართველოს პრემიერ-მინისტრს  
ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

**ბატონო პრემიერ-მინისტრო,**

სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ იმედისმომცემად აღიქმება თქვენი ძალისხმევა ნეგატიური მემკვიდრეობის ნეიტრალიზაციის საქმეში. ეკონომიკის რეალურად აღმავლობის მიმართულეობითაც გამოიკვეთა პოზიტიური ტენდენცია. შემდგომი წინსვლისთვის, უკვე მიმდინარე პრიორიტეტულ ღონისძიებებთან ერთად, აუცილებელია წინა ხელისუფლების მიერ თავნებურად მიღებული ცალკეული ნორმატიული აქტის დაუყოვნებლივ შეცვლა. მათ შორის, განსაკუთრებით საყურადღებოა საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის № 360 დადგენილება „საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“, კერძოდ კი ამ დადგენილების №1 დანართი, რომლის თანახმადაც, მხოლოდ მასში ჩამოთვლილ კომპანიებს (სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო; ფრაისვოთერჰაუსკუპერსი; დელოიტი; ქეი-ფი-ემ-ჯი; ერნსტენდიანგი; გრანთთორნთონი; ბიდიო; ბეიკერტილი; სმიტენდვილიამსონი; პი-ქეი-ეფი; შპს „კაპტოჯგუფი“; შპს „აუდიტორული და საკონსულტაციო სამსახური ემჯიაიჯორჯია“) აქვთ ექსკლუზიური უფლება განახორციელონ სახელმწიფო საწარმოებში ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ან/და ექსპერტიზა, პრივატიზების განმახორციელებელი ორგანოს დაუდასტურონ სახელმწიფო ქონების შემქმნ/მმართველ/მოსარგებლე პირებთან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

აღნიშნულმა დადგენილებამ ხელოვნურად შეუქმნა ხანგრძლივადიანი დომინირებული (გარანტირებული საქმიანობის) პერქექტივა მხოლოდ ცნობილ დიდი ოთხეულს და საერთაშორისო ქსელში შემავალ კომპანიებს.

ვგლობთ რა ქვეყნის აუდიტორულ და საშემფასებლო ბაზარზე მოქმედი შესაბამისი კომპანიების საკვალიფიკაციო მონაცემებზე ინფორმაციას, ცნობილია, რომ ისინი ამ დადგენილებით განსაზღვრულ მომსახურების ცალკეულ სახეებს (ქონების შეფასება, გადაფასება) უშუალოდ არც ახორციელებენ (აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით, მათ ეზღუდებათ შეფასების მომსახურების გაწევა იმ კომპანიაში, რომლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი უნდა ჩატარონ), ზოგიერთს (სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს“) არც ბიზნეს კომპანიების ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელების უფლება აქვს. საყურადღებოა ისიც, რომ ფინანსური ანგარიშგების აუდიტორული შემოწმების დაწყებამდე ეს კომპანიები წინასწარ რეკომენდაციას აძლევენ ამავე დადგენილების №2 დანართში ჩამოთვლილი საწარმოებს უძრავი ქონების აღრიცხვა მოაწესრიგონ გადაფასების მეთოდის გამოყენებით, რისთვისაც სთავაზობენ მათ ამავე წრიდან მისაღებ საშემფასებლო ან აუდიტორულ კომპანიებს, რაც ტენდერის გამოცხადებისას ფაქტობრივად სავალდებულო პირობად ყალიბდება.

ა(ა)იპ აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაცია  
0160 თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №2, ს/კ 404921670 Tel.: 599 34 64 27; (32)261 47 97. e-mai: gfaafm@gmail.com  
ა/ა ნომერი GE15BG000000355038000 სს „საქართველოს ბანკი“ კოდი /BAGAGE22 /

ხელოვნურად დაკანონებული ასეთი ვითარება ეწინააღმდეგება „კონკურენციის შესახებ“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონების მოთხოვნებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ყველა საფუძველი არსებობს იმისათვის, რომ გაუქმდეს საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილება და გამოიცეს ისეთი, რომელიც სახელმწიფო საწარმოებს დაავალდებულებს აუდიტორული მომსახურება მიიღონ თავისუფალი კონკურენციის პირობებში.

ცნობილი დიდი ოთხეული და საერთაშორისო ქსელში შემავალი კომპანიები პრაქტიკულად აკონტროლებენ საქართველოს ბაზრის თითქმის 80 %-ს. შესაბამისად, მათი კიდევ უფრო აღზევება (უცვლელი სტატუსის დაკანონება) მთლიანად სპობს თანასწორუფლებიან, კონკურენტულ გარემოს, ფუნქციონირების შესაძლებლობას უკარგავს სხვა არანაკლებ კომპეტენტურ საქართველოს (ადგილობრივ) აუდიტურ კომპანიებს, აფერხებს თაობათა ცვლის პროცესს და პროფესიის განვითარებას. გარდა ამისა, სახეზეა მონოპოლიური და კორუფციული მიდგომა (ბაზარზე კონკურენციის არსებითად შეზღუდვა, ეკონომიკური აგენტისთვის ხანგრძლივი ვადით კომერციული ინტერესების უზრუნველსაყოფად ხელსაყრელი გარემოს შექმნა), ამასთან, აშკარაა დისკრიმინაციის ელემენტებიც (პირობების შექმნა, რომელიც პირს არახელსაყრელ მიდგომარეობაში აყენებს ანალოგიური სტატუსის მქონე სხვა პირებთან შედარებით).

ვიმედოვნებთ რა თქვენს გულისხმიერ დამოკიდებულებას, მოგმართავთ, რათა გასცეთ შესაბამისი დავალებები აღნიშნულის შესწავლისა და გადაწყვეტისთვის. საჭიროების შემთხვევაში, გიდასტურებთ მზადყოფნას ჩავერთოთ პროექტის მომზადებასა და განხორციელებაში.

პატივისცემით

**ნიკო ბაკაშვილი**

საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და

ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარე,

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს

ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი



საუბოროთა, ხალაბართა და ფინანსურ მანაჯართა ფედერაცია  
THE FEDERATION OF AUDITORS ACCOUNTANTS AND FINANCIAL MANAGERS

№ ად - 1  
13.10.2014

საქართველოს პრემიერ-მინისტრს  
ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

**ბატონო პრემიერ-მინისტრო,**

ნეგატიური მემკვიდრეობის გამოვლინებებზე თქვენი მყისიერი და ადეკვატური რეაგირება გვიქმნის იმედიან წინაპირობას კვლავ მოგმართოთ კიდევ ერთი გადაუდებლად მნიშვნელოვანი გარემოების გამო:

2012 წელს, წინა მოწვევის საქართველოს პარლამენტმა, ბოლო სასესიო ვადის მიწურულს, ნაჩქარევად, გარკვეული პირთა წრის ინტერესების უზრუნველსაყოფად მიიღო და 2013 წლის იანვრიდან ძალაშია საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონი „**ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ**“.

**აღნიშნული** კანონის მიღებას, ჩვენთან ერთად, დარგის სპეციალისტების მხრიდან თავიდანვე მოჰყვა მკვეთრად უარყოფითი რეაქცია, რომელიც მაშინ არავინ შეისმინა. შედეგად მივიღეთ ის, რომ ხელალებით გაუქმდა ადრე არსებული ინსტიტუცია და თვითრეგულაციას დაექვემდებარა ეკონომიკის განვითარებისთვის უაღრესად საჭირო ორი სფერო: რეალურ სექტორში **ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტური საქმიანობა**; კერძო სამართლის სუბიექტზე (ა(ა)იპ „ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია“) გადამისამართდა სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი მარეგულირებელი ფუნქცია; კანონმა ავტომატურად მიანიჭა რა აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის სტატუსი, მხოლოდ ამ ერთი ეკონომიკური აგენტისთვის შეიქმნა არაკონკურენტული, განსაკუთრებული მდგომარეობა და ხანგრძლივადიანი კომერციულად ხელსაყრელი გარემო; არანაკლებ კომპეტენტური საქართველოს (ადგილობრივი) აუდიტორული კომპანიებისთვის ხელოვნური ბარიერების შექმნის ხარჯზე, აღზევდა ცნობილი დიდი ოთხეული და საერთაშორისო ქსელში შემავალი კომპანიების მხოლოდ ვიწრო წრე; ხარვეზებისა და არასათანადო რეგულაციების გამო, კანონი ფაქტობრივად არ მუშაობს - სახეზეა ქაოსური მდგომარეობა; პრაქტიკულად წაერთვათ ფუნქციონირების შესაძლებლობა აუდიტორთა უმრავლესობას, შეფერხდა პროფესიისა და დარგის განვითარება, რაც მთლიანობაში, პირდაპირ თუ ირიბად, უსათუოდ უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე.

**„ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“** ძალადობრივად მიღებული კანონი, ყველა ნიშნის მიხედვით, მხოლოდ დამკვეთთა მონოპოლიურ და კორუფციულ მიზნებს ემსახურება. ამასთან, აშკარაა დისკრიმინაციის ელემენტებიც (პირობების შექმნა, რომელიც პირს არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიური სტატუსის მქონე სხვა პირებთან შედარებით).

ზემოაღნიშნული აქტი წინააღმდეგობაშია საქართველოს კანონებთან: „**კონკურენციის შესახებ**“ (2014 წლის 21 მარტის კანონი №2159) და „**დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ**“ (2 მაისი 2014 წ. N2391-III) ასევე, **ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს** (2006/43/ EC „წლიური და კონსოლიდირებული ანგარიშგების სავალდებულო აუდიტის შესახებ“ და 2013/34/ EC „ყოველწლიური ფინანსური ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ“) **დირექტივებთანაც.**

ა(ა)იპ აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაცია  
0160 თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №2, ს/კ 404921670 Tel.: 599 34 64 27; (32)261 47 97. e-mai: gfaafm@gmail.com  
ა/ა ნომერი GE15BG000000355038000 სს „საქართველოს ბანკი“ კოდი /BAGAGE22 /

აღნიშნულიდან და საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, აუცილებელია მისი ჩანაცვლება ახალი, ვითარების და ევროდირექტივების შესაბამისი, პრინციპულად განსხვავებული კონცეფციით. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ისედაც მოითხოვს ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციას უახლოესი სამი წლის განმავლობაში, თუმცა მანამდე შესაძლოა მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდეს. ამდენად, ფართომასშტაბიან ცვლილებამდე, დაუყოვნებლივ საჭიროა ორი პრინციპული საკითხის გადაწყვეტა. **პირველი: პროფესიული ორგანიზაციებს შეექმნათ აკრედიტაციის თანაბარი სასტარტო შესაძლებლობა** (მოიხსნას ავტომატური აკრედიტაციის რეჟიმი) და **მეორე: შეიქმნას საზედამხედველო, მარეგულირებელი ორგანო** (პოზიციათა შეჯერების და სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად).

რამდენადაც „**ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ**“ მოქმედი კანონი საქართველოს მთავრობის ინიცირებულია, უპრიანი იქნება მასში ცვლილებების შეტანა (ან ახალი კანონის პროექტის მომზადება) მთავრობის ინიციატივითვე განხორციელდეს.

პრობლემის არსი, აგრეთვე კანონის შინაარსობრივი თუ მუხლობრივი ხარვეზების შესახებ არგუმენტირებული ვრცელი მასალა არაერთხელ მიეწოდა საქართველოს პარლამენტს და მთავრობის კანცელარიას. ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი, იზიარებდა რა ჩვენს შენიშვნებს და წინადადებებს, შესამჩნევად აქტიურ (პრობლემისადმი ადექვატურ) პოზიციას გამოხატავდა და 2013 წლის ბოლომდე პლენარულ სხდომაზე გასატანად, კანონში შესატანი ცვლილებების პროექტს კი განთავსდა პარლამენტის ვებგვერდზე, თუმცა შემდგომ დამოკიდებულება შეიცვალა. როგორც ჩანს, ლობისტთა ხელშეწყობით, საკითხი, შიგნითაც და გარედანაც იბლოკება - განსახილველად არ გადის.

აქედან გამომდინარე, მოგმართავთ თქვენ, ბატონო პრემიერო, გაცეთ ვითარების შესაბამისი განკარგულებები საკითხის შესასწავლად და გადასაწყვეტად. იმედს ვიტოვებთ, რომ ამჯერად მაინც არ დარჩება აღნიშნული პრობლემა სათანადო რეაგირების გარეშე.

პატივისცემით

### **ნიკო ბაკაშვილი**

საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და  
ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარე,  
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,  
საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

სსიპ კონკურენციის სააგენტო



LEPL Competition Agency

№ 02/126

16 თებერვალი 2014 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

საქართველოს მთავრობის კანცელარიას

ასლი: აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა  
ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარეს  
ბატონ ნიკო ბაკაშვილს  
მის.: თბ., ალ. ყაზბეგის გამზ. №2  
ტელ.: 599 34 64 27, (32)261 47 97

LLC „Audit and Business consulting“-ის პარტნიორს  
ბატონ მიხეილ აბაიძეს  
მის.: თბ., ვ. მარჯანიშვილის ქ. 6  
ტელ.: 577 50 08 05, (32)200 01 23

სსიპ კონკურენციის სააგენტოს მიერ განხილულ იქნა, საქართველოს მთავრობის კანცელარიიდან შემოსული მ/წ. 18 სექტემბრის N 31649 წერილი აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის მიერ საქართველოს პრემიერ-მინისტრის სახელზე გაგზავნილი (15.09.2014 წლის Nად-1) წერილი, რომელიც შეეხება - საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის N360 დადგენილების საფუძველზე, კონკრეტული ეკონომიკური აგენტებისათვის ექსკლუზიური უფლების (სახელმწიფო საწარმოებში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებაზე) მინიჭების საკითხის თავსებადობას „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონთან.

საკითხის აქტუალობისა და დამატებითი ინფორმაციის (თუ რა კრიტერიუმებით მოხდა აღნიშნული საქმიანობის განხორციელებისათვის ეკონომიკურ აგენტთა შერჩევა) მოძიების აუცილებლობით მ/წ. 15 აპრილს გაიმართა შეხვედრა - აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის წარმომადგენლებთან. თემაზე, ასევე მიღებულ იქნა

კონსულტაციები საქართველოს ფინანსთა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებისა და საქართველოს მთავრობის კანცელარიის პასუხისმგებელი პირებისაგან.

როგორც წარმოდგენილი (ხელთარსებული) მასალიდან ირკვევა, აუდიტორთა საბჭოს მიერ 2013 წლის 1 იანვრისათვის 637 პირზე გაცემული იყო 688 სერტიფიკატი (51 ერთ და იგივე პირზე იყო გაცემული სხვადასხვა სფეროს სერტიფიკატი); ბაფ-ის პროფესიონალ ბულატერზე გაცემული იყო 100 სერტიფიკატი. გარდა ამისა, ირკვევა, რომ სხვადასხვა დროს ლიცენზირებული იყო და რეგისტრაცია გავლილი ჰქონდა 500-მდე აუდიტორულ ფირმას. თუმცა, ამ ეტაპზე მათგან თუ რამდენია მოქმედი ამის დაზუსტება ვერ მოხერხდა (აუდიტორთა, ბულატერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის წარმომადგენელთა განმარტებით - მთავრობის 05.09.2012 წლის N360 დადგენილებიდან გამომდინარე, კონკრეტული ეკონომიკური აგენტებისათვის შექმნილმა ხანგრძლივადიანმა დომინირებულმა (გარანტირებული საქმიანობის) პერსპექტივამ, ბაზრის სხვა სუბიექტთა მნიშვნელოვან ნაწილს ხელი ააღებინა შესაბამისი საქმიანობის გაგრძელებისაგან).

მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე არსებული მონაცემებით ვერ ვაკონკრეტებთ, კერძოდ, თუ რამდენია საქართველოში მოქმედი (ადგილობრივი) აუდიტორი კომპანია, ფაქტია, რომ მათი რიცხვი მნიშვნელოვნად აღემატება საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის N360 დადგენილებით (ცვლილებების შეტანის შედეგად) განსაზღვრულ - „საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა ნუსხა“-ში შეყვანილ პირთა (14 პირი, რომლებიც არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე „აკონტროლებენ საქართველოს ბაზრის თითქმის 80%-ს“) რაოდენობას.

ხსენებული ცხადიყოფა, თუნდაც ამ განსახილველი წერილითა და ასევე, მ/წ 15 ოქტომბერს სააგენტოში შემოსული - LLC „Audit and Business consulting“-ის პარტნიორის ბატონ მიხეილ აბაიძის მომართვიდანაც. საკუთრივ, ეს უკანასკნელი ეხება - „აუდიტორ, საშემფასებლო და საკონსულტაციო ბაზარზე სახელმწიფოს მიერ დაწესებულ შესვლის ადმინისტრაციულ და დისკრიმინაციულ ბარიერებს“ (ავტორი ითხოვს საქართველოს მთავრობის 05.09.2012 წლის N360 დადგენილების გაუქმებას ან მის N1 დანართის ჩამონათვალში - „Audit and Business consulting“-ის შეყვანას).

შესაბამისად აღნიშნულისა, სააგენტოს წინაშე დასმული პრობლემა (აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ კონკურენციის შეზღუდვა და ადმინისტრაციული ბარიერების შემოღება) მზერამიქცევადია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლთან (სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ კონკურენციის შეზღუდვის დაუშვებლობა) თავსებადობის კუთხით. კერძოდ, რამდენად ირღვევა ამ მუხლის „ე“ პუნქტი, რომლის თანახმად - სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეკრძალებათ - „ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც იწვევს ეკონომიკური აგენტისათვის მონოპოლიური მდგომარეობის შექმნას, რაც არსებითად ზღუდავს თავისუფალ ფასწარმოქმნას და კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა“.

საგულისხმოა, რომ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის N360 დადგენილება, მასში შეტანილ შემდგომ ცვლილებებთან (15.01.2013 წლის N5 და 2014 წლის 17 იანვრის N96 დადგენილებები) ერთად, ფართო გაგებით წარმოადგენს - სახელმწიფო (აღმასრულებელი) ხელისუფლების გადაწყვეტილებას, რომელიც გამომდინარეობს

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან და ექვევა კონკურენციის ჩარჩო კანონის შესაბამისი პუნქტებით განსაზღვრულ გამოწვევებში. სახელდობრ, „გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში“. სწორედ საგადასახადო კოდექსიდან გამომდინარე მოხდა საქართველოს მთავრობის აღნიშნული დადგენილების მიღება, რითაც განისაზღვრა იმ პირთა ამომწურავი წრე, რომლებსაც მიენიჭათ უფლება შესაბამისი საქმიანობის განხორციელების (05.09.2012 წლის N360 დადგენილებით განსაზღვრულ პირთა წრის ჩამონათვალში 2013 და 2014 წლებში დამატებები იქნა შეტანილი) შესახებ.

თუმცა, ფაქტია ისიც, რომ კონკრეტულ ეკონომიკურ აგენტთა შერჩევის (დადგენილებას თანდართულ ნუსხაში მათი შეტანის) არსებული ფორმა, რაც გამომდინარეობს საქართველოს საგადასახადო კოდექსიდან, არ ესატყვისება ზოგადად კონკურენციის პრინციპებს. ანუ, არ ეხმიანება „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებს: არ დაუშვას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მხრიდან ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერები; უზრუნველყოს ბაზარზე ეკონომიკური აგენტის თავისუფალი დაშვებისათვის სათანადო პირობები; დაიცვას ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპი და სხვ.

რეალურად კი სახეზეა, რომ - საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნის გამცემ პირთა შერჩევის მოქმედი წესით იზღუდება (შერჩევის კონკრეტული კრიტერიუმების არ არსებობის გამო) ამ ბაზრის სხვა სუბიექტთა უფლებები.

ის, რომ ამ ბაზარზე არ არსებობს ეკონომიკურ აგენტთა შერჩევის კრიტერიუმები ეს დასტურდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მ/წ 18 ივნისის N08-02/42999 წერილიდანაც - „... რომ არც საქართველოს საგადასახადო კოდექსით და არც აღნიშნული დადგენილებით არ არის გათვალისწინებული ის კრიტერიუმები, რის საფუძველზეც შესაძლებელია პირი მოხვდეს ამ ნუსხაში...“. ამასთან, როგორც ირკვევა დღემდე არ არის მსგავსი კრიტერიუმები შერჩეული (წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარია, თუ რატომ ფერხდება შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრულ ნუსხაში ახალ ეკონომიკურ აგენტთა ჩართვა/ჩაურთველობაზე გადაწყვეტილების მიღება), რაც ამ ბაზრის მონაწილეთა სამართლიან გულისწყრომას იმსახურებს.

მეტიც, როგორც LLC „Audit and Business consulting“-ის პარტნიორის ბატონ მიხეილ აბაიძის წერილიდან ირკვევა, შპს „აუდიტი“ და „ბიზნეს კონსალტინგი“ (Morison International-ის წევრი) 2014 წლის 02 ივნისიდან ითხოვს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და საქართველოს ფინანსთა სამინისტროებისაგან, მოხდეს მათი ჩართვა საქართველოს მთავრობის 5 სექტემბრის N360 დადგენილებით გათვალისწინებულ ნუსხაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „გ.ა.“ ქვეპუნქტთა უფლებამოსილების საფუძველზე, ამ სასაქონლო ბაზარზე არსებული გარემოს გაჯანსაღებისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვის (საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ბარიერების აღმოფხვრის კუთხით) მიზნით, სააგენტო მიიჩნევს, რომ - განხორციელდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის მე-2 ნაწილში (ვფიქრობთ, მთავრობის დადგენილებით უნდა განსაზღვროს არათუ ნუსხაში შესაყვან პირთა წრე, არამედ ის ზოგადი კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილებისამებრ ყველას ექნება შესაბამისი საქმიანობის განხორციელების

უფლება), რაც თავისმხრივ მისცემს შესაძლებლობას ბაზრის ყველა სერტიფიცირებულ სუბიექტს თანაბარკონკურენტულ გარემოში (ანუ, ერთიანი სტანდარტული პირობების დაცვით სამართლიან კონკურენციულ საწყისებზე) გააგრძელონ საქმიანობა.

ამასთან, საჭიროებისამებრ სააგენტო გამოთქვამს მზაობას, რომ კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს საკანონმდებლო ცვლილებათა მომზადების პროცესში.

სააგენტოს თავმჯდომარე



გიორგი ბარაბაძე

სსიპ კონკურენციის სააგენტო



LEPL Competition Agency

№ 02/206

1 დეკემბერი 2014 წ.

საქართველოს მთავრობის კანცელარიას  
მის: თბ., ინგოროვას ქ. N7

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს  
მის: ქ. ქუთაისი, აბაშიძის ქ. 26

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს  
მის: თბ., ჭავჭავაძის ქ. №12  
ტელ: +(995 32) 299 11 11; +(995 32) 299 11 05

სსიპ აკრედიტაციის ერთიან ეროვნულ ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრს  
მის: თბ., ალ. ყაზბეგის გამზ. N42ა  
ტელ: +(995 32) 2399348; +(995 32) 2192233

სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს  
მის: თბ., ჩარგლის ქ. 67  
ტელ: (995 32) 261 25 30

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციას  
მის: თბ., წერეთლის ქ. N61  
ტელ: +995 32 235 11 47

ასლი: აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციას  
მის.: თბ., ალ. ყაზბეგის გამზ. №2

ასლი: საქართველოს დამოუკიდებელ ბუღალტერთა და აუდიტორთა საზოგადოებას  
მის: თბ., დავით გამრეკელის ქ. N19, მე-5 სართ., ოფისი 503  
ტელ: 599 58 84 85

სსიპ კონკურენციის სააგენტოს მიერ განხილულ იქნა, საქართველოს მთავრობის კანცელარიიდან შემოსული (15.10.2014 წლის N34601 წერილი) აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის მიერ საქართველოს პრემიერ-მინისტრის სახელზე გაგზავნილი

წერილი (13.10.2014 წლის Nად-1), რომელიც შეეხება - „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (29.06.2012 წლის N6598-რს) მიღების შემდგომ პერიოდში პროფესიული აუდიტორული ორგანიზაციების საქმიანობის სფეროში შექმნილი მდგომარეობის (აუდიტორულთა პროფესიული ორგანიზაციებისათვის აკრედიტაციის პროცესში ხელოვნური ბარიერების არსებობის საკითხი) თავსებადობას „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის დირექტიულ მოთხოვნებთან.

საკითხის აქტუალობისა და დამატებითი ინფორმაციის მოძიების აუცილებლობისამებრ, მ/წ. 31 ოქტომბერს გაიმართა შეხვედრა - აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის წარმომადგენლებთან. მოგვიანებით, თემაზე ასევე მიღებულ იქნა კონსულტაციები საქართველოს დამოუკიდებელ ბუღალტერთა და აუდიტორთა საზოგადოების (ბას)-ის წარმომადგენლისა და სსიპ აკრედიტაციის ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის პასუხისმგებელ პირთაგან.

როგორც ზემოაღნიშნული შეხვედრების შედეგად გაირკვა, საქართველოში მოქმედი დამოუკიდებელი აუდიტორების, ბუღალტრების, ფინანსური მენეჯერების და დარგის პროფესიული გაერთიანებების წარმომადგენელთა გარკვეული ნაწილი გამოხატავს ნეგატიურ დამოკიდებულებას - „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (ძალაშია 2013 წლის 1 იანვრიდან) ამჟამად მოქმედ რედაქციასთან მიმართებით.

კერძოდ, კანონის მე-2 მუხლის „ს“ პუნქტის შესაბამისად, პროფესიული ორგანიზაციის აკრედიტაციისათვის აუცილებელია, რომ შესაბამისმა პირმა დააკმაყოფილოს შემდეგი სამი პირობიდან ერთ-ერთი: 1) იყოს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრი; 2) იყოს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ აღიარებული რეგიონალური ორგანიზაციის ნამდვილი წევრი; 3) იყოს ამ კანონის მოთხოვნების შესაბამისად აკრედიტებული პირი.

ამასთან, კანონის მიხედვით, პროფესიული ორგანიზაცია, რომელიც პირველი ორ პირობიდან ერთ-ერთს აკმაყოფილებს, ითვლება ავტომატურად აკრედიტებულად ამ ორგანიზაციის წევრობის ვადით (მუხლი 11, პუნქტი 7), მაშინ, როდესაც სხვა პირთათვის აკრედიტაციის ვადა განსაზღვრულია 5 წლით და ამ ვადის გასვლიდან მხოლოდ 3 წლის შემდეგ შეუძლიათ მათ მოითხოვონ განმეორებითი აკრედიტაცია (მუხლი 11, პუნქტი 4), რაც ერთსა და იმავე ბაზარზე მოქმედ სუბიექტებს არათანაბარ პირობებში აყენებს.

როგორც მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, ამ ეტაპზე საქართველოში ფუნქციონირებს ერთადერთი პროფესიული ორგანიზაცია - საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და

აუდიტორთა ფედერაციის სახით, რომელიც არის ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC)-ის ნამდვილი წევრი. შესაბამისად, კონკურენციის სააგენტოში შემოსული წერილის ავტორებს მიაჩნიათ, რომ ამ ბაზარზე არის არაკონკურენტული სასტარტო პირობები.

თავის მხრივ, ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC)-ის წევრი ორგანიზაციის პრივილეგირებული მდგომარეობა გამყარებულია კანონის სხვა პუნქტებით. კერძოდ, კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, მხოლოდ იმ აკრედიტებულ ორგანიზაციას, რომელიც ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრია, აქვს უფლება ქართულ ენაზე თარგმნოს და გამოსცეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS) და მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS for SMES).

ამვე მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია ქართულ ენაზე თარგმნილ ამ სტანდარტებს, აგრეთვე მის მიერ დადგენილ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფინანსური ანგარიშგების ადგილობრივ (ეროვნულ) სტანდარტებს რეგისტრაციაში გასატარებლად წარუდგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს (პირს უფლება აქვს გამოიყენოს IFRS-ის და IFRS for SMES-ის ინგლისური ტექსტი).

გარდა ამისა, საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ კანონის მე-16 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად - აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციას, რომელიც ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრია, 2013 წლის 1 იანვრამდე უნდა მიეღო (შეემუშავებინა) ხარისხის კონტროლის შემმოწმებლის სერტიფიცირების პროგრამა და ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის დებულება. როგორც ირკვევა, კანონის ეს მოთხოვნა დღემდე შეუსრულებელია.

სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის პასუხისმგებელ პირთა განმარტებით, ხარისხის კონტროლის შემმოწმებლის სერტიფიცირების პროგრამისა და ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის დებულების მიუღებლობა არის ერთ-ერთი წინაპირობა, ამ ბაზრის სუბიექტთათვის (გარდა ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრისა და ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ აღიარებული რეგიონალური ორგანიზაციის ნამდვილი წევრის) აკრედიტაციაზე უარის თქმისა. რაც შეეხება სსიპ აკრედიტაციის ცენტრის მიერ კანონის მე-11 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად მისაღებ აკრედიტაციის წესს, რომელიც უნდა მიღებულიყო ამავე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, ამ ცენტრის წარმომადგენელთა თქმით, აღნიშნული დოკუმენტი უკვე მიღებულია. აკრედიტაციის წესი, კანონის მე-16 მუხლის მე-13 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, ასევე წარდგენილ იქნა საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტისათვის.

როგორც აკრედიტაციის ცენტრში შეხვედრისას ხაზი გაესვა, აკრედიტაციის ცენტრმა პროფესიული აუდიტორული ორგანიზაციების აკრედიტაციის პროცედურა უნდა განახორციელოს, გენერალური დირექტორის 2012 წლის 31 დეკემბრის N07 ბრძანებით დამტკიცებული საკ 1.6:2012 - „წესები და პროცედურები პერსონალის სერტიფიკაციის ორგანოების სსტ ისო/იეკ 17024:2010-თან შესაბამისობაზე აკრედიტაციისათვის“ - შესაბამისად.

რაც შეეხება ზოგადად ქვეყანაში ამ სფეროში აკრედიტებულ სუბიექტებს, როგორც სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის მ/წ. 14 ნოემბრის N399 წერილიდან ირკვევა „ამ პერიოდისათვის აუდიტთა, ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის სფეროში არ არის აკრედიტებული არც ერთი პროფესიული ორგანიზაცია, რადგან არც ერთ დაინტერესებულ პირს აკრედიტაციის გასაწვლელად არ მოუმართავს განაცხადით აკრედიტაციის ცენტრისათვის“. თუმცა, მომართვის შემთხვევაში, მათივე განმარტებით, ისინი აუდიტორული ორგანიზაციების აკრედიტაციას ვერ მოახდენდნენ შესაბამისი სამართლებრივი ბაზის უქონლობის გამო. ეს დასტურდება აკრედიტაციის ცენტრის ზემოაღნიშნული წერილითაც. კერძოდ, როგორც ირკვევა იყო ერთადერთი გამონაკლისი შემთხვევა, როდესაც საქართველოს დამოუკიდებელ ბუღალტერთა და აუდიტორთა საზოგადოების (ბას) გამგეობამ მოითხოვა აკრედიტაცია (09.09.2012 წლის N325 განცხადება), თუმცა, აკრედიტაციის ცენტრმა ის ვერ განიხილა შესაბამისი კანონით განსაზღვრული ნორმების მიუღებლობის გამო.

დღეის მდგომარეობით, სსიპ აკრედიტაციის ცენტრს (მათი განცხადებით) აქვს კომპეტენციის ფარგლებში ბოლომდე მოწესრიგებული სამართლებრივი ბაზა აუდიტორული პროფესიული ორგანიზაციების აკრედიტაციისათვის. ერთადერთი ხელისშემშლელი ფაქტორი, რომელიც, მათი განმარტებით, აფერხებს ამ სფეროში აკრედიტაციის განხორციელებას, არის „ხარისხის კონტროლის შემმოწმებლის სერტიფიცირების პროგრამისა და ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის დებულებების“ მიუღებლობა, რასაც ითვალისწინებს კანონის მე-16 მუხლის მე-6 პუნქტი.

საშუალოდ, აქ ნებისთ თუ უნებლიედ არაორდინალურ ვითარებასთან გვაქვს საქმე. რამდენადაც ერთის მხრივ, აღნიშნული პროგრამა და დებულება უნდა შეიმუშაოს ბაზრის იმ სუბიექტმა, რომელსაც აკრედიტაცია არ სჭირდება (კანონის თანახმად, ავტომატურად ითვლება აკრედიტებულად), ხოლო მეორეს მხრივ, თუ ეს სუბიექტი ასეთ პროგრამას და დებულებას არ შეიმუშავებს, ის ბაზრის ერთადერთი მოთამაშე ხდება, ვინაიდან, როგორც ირკვევა, ამ პროგრამისა და დებულების გარეშე აკრედიტაციას არ გასცემს შესაბამისი სახელმწიფო ორგანო. ანუ ბაზრის ერთადერთი მოთამაშის ნებაზეა დამოკიდებული ამ ბაზარზე მას ეყოლება თუ არა კონკურენტი

კომპანიები. ამასთან, ამ სუბიექტის ასეთი დომინირებული მდგომარეობა შექმნილია შესაბამისი კანონის საფუძველზე.

თანმდევად აღნიშნულისა, სააგენტოს წინაშე დასმული პრობლემა (აუდიტორული კომპანიებისათვის აკრედიტაციის პროცესში ხელოვნური ბარიერების შექმნის საკითხი) შეიძლება მზერამიქცევადი იყოს: 1) „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლთან (სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ კონკურენციის შეზღუდვის დაუშვებლობა) თავსებადობის კუთხით. კერძოდ, უნდა დადგინდეს, რამდენად ირღვევა ამ მუხლის „ე“ პუნქტი, რომლის თანახმად - სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ვერძალბათ - ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც იწვევს ეკონომიკური აგენტისათვის მონოპოლიური მდგომარეობის შექმნას, რაც არსებითად ზღუდავს თავისუფალ ფასწარმოქმნას და კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა“.

მიუხედავად იმისა, რომ ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის წევრი პროფესიული ორგანიზაცია განსხვავებულ სასტარტო პირობებში იმყოფება ამ ბაზრის სხვა სუბიექტებთან მიმართებით, ეს არ შეიძლება ჩაითვალოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს მხრიდან განხორციელებულ შემზღუდველ ქმედებად, ვინაიდან ის გამომდინარეობს „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ კანონიდან და ექცევა კონკურენციის ჩარჩო კანონის შესაბამისი პუნქტით განსაზღვრულ გამონაკლისებში. სახელდობრ, „გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში“.

სწორედ „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ კანონი განიხილავს განსხვავებულად ამ ბაზრის სუბიექტთა აკრედიტაციის პროცესს. ეს უკანასკნელი კი, არ ესატყვისება ზოგადად კონკურენციის პრინციპებს და არ ეზიანება „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის ფუძვეთვითურ მიზნებს - არ დაუშვას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მხრიდან ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერები; უზრუნველყოს ბაზარზე ეკონომიკური აგენტის თავისუფალი დაშვებისათვის სათანადო პირობები; დაიცვას ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპი და სხვ.

რეალურად კი სახეზეა, რომ - ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის ნამდვილი წევრი აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის მიერ, ხარისხის კონტროლის შემმოწმებელი სერტიფიცირების პროგრამისა და ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის დებულების

მიუღებლობა, წარმოადგენს ხელოვნურ ბარიერს ამ ბაზრის სხვა პოტენციური (მათ შორის მანამდე მოქმედი) სუბიექტებისათვის. თავის მხრივ, განვმეორდებით, ეს ბარიერი შექმნილია კანონის დონეზე.

შესაბამისად აღნიშნულისა, დღის წესრიგში დგება, თუ რამდენად თავსებადია - 2) „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლთან (დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება) სააგენტოს წინაშე დასმული საკითხი. კერძოდ, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტთან, რომლის თანახმად - დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად შეიძლება ჩაითვალოს - „წარმოების, ბაზრის ან ტექნოლოგიური განვითარების მომხმარებელთა ინტერესების საზიანოდ შეზღუდვა“.

რამდენადაც ამ ეტაპზე შესაბამისი ბაზარზე მოქმედი პროფესიული საზოგადოებრივი ორგანიზაციები ჯერ-ჯერობით ფუნქციონირებენ (მათ საქმიანობას ამ დროისათვის საფრთხე არ ექნება, თუმცა, ხაზს ვუსვამთ, თუ არ მოხდა კანონის მე-16 მუხლის მე-15 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული აუდიტორული ფირმების პროფესიულ ორგანიზაციებში გაწვევრიანების ვადის გადაწევა, მაშინ მათი ბაზრიდან განდევნის საფრთხე რეალურია) ამიტომ, ბაზრის დომინანტმა სუბიექტმა - ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილმა წევრმა ორგანიზაციამ - ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციამ უნდა უზრუნველყოს „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის მე-6 პუნქტით მისაღები „კონტროლის შემოწმებული სერტიფიცირების პროგრამისა და ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის დებულების“ შემუშავება (რომელსაც სსიპ - აკრედიტაციის ცენტრი პროფესიული ორგანიზაციების აკრედიტაციის ერთ-ერთ წინაპირობად მიიჩნევს). წინააღმდეგ შემთხვევაში, ბაზრის დომინანტი კომპანიის ქმედება კონფლიქტში მოვა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის (დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება) დირექტიულ მოთხოვნებთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „გა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილების საფუძველზე, ამ სასაქონლო ბაზარზე არსებული გარემოს გაჯანსაღებისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვის (საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ბარიერების აღმოფხვრის კუთხით) მიზნით, კონკურენციის სააგენტო მიიჩნევს, რომ:

1) აკრედიტებულმა პროფესიულმა ორგანიზაციამ, რომელიც ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრია (საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა

ფედერაცია) უნდა უზრუნველყოს - „კონტროლის შემმოწმებელი სერტიფიცირების პროგრამისა და ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის დებულების“ შემუშავება.

2) ან უმჯობესია, განხორციელდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილება „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში (რამეთუ, თუ „ხარისხის კონტროლის შემმოწმებლის სერტიფიცირების პროგრამა და ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის დებულებები“ შესამე პირთა აკრედიტაციის აუცილებელი პირობაა, მაშინ ის უნდა იყოს მიღებული სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისი ორგანოს მიერ, როგორც ნორმატიული აქტი. ვინაიდან არ შეიძლება კონკურენტი კომპანიის კეთილ ნებაზე იყოს დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი ფუნქციის აღსრულება, როგორცაა აკრედიტაცია). რაც თავის მხრივ, შესაძლებლობას მისცემს ბაზრის სხვა მონაწილეებს (პოტენციურ კონკურენტებს) თანაბარკონკურენტულ გარემოში (ანუ, ერთიანი სტანდარტული პირობების დაცვით სამართლიან კონკურენციულ საწყისებზე) გააგრძელონ საქმიანობა.

ამასთან, საჭიროებისამებრ, სააგენტო გამოთქვამს მზაობას, პრობლემის ნიველირების მიზნით, კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს საკანონმდებლო ცვლილებათა შემუშავების პროცესში.

სააგენტოს თავმჯდომარე

გიორგი ბარაბაძე

სსიპ საქართველოს  
სტანდარტებისა და მეტროლოგიის  
ეროვნული სააგენტო

0178, თბილისი, საქართველო, ჩარგლის ქ. №67  
ტელ.: (99532) 261 25 30  
ფაქსი: (99532) 261 35 00  
ელ-ფოსტა: info@geostm.ge



LEPL GEORGIAN  
NATIONAL AGENCY OF  
STANDARDS AND METROLOGY

№67 Chargali str., 0178 Tbilisi, Georgia  
Tel.: (99532) 261 25 30  
Fax: (99532) 261 35 00  
E-mail: info@geostm.ge

25.12.2014 № 549

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის  
აღმასრულებელ დირექტორს ბატონ ლავრენტი ჭუმბურიძეს

ასლი: სსიპ-კონკურენციის სააგენტოს  
ასლი: საქართველოს მთავრობის კანცელარიას  
ასლი: საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს  
ასლი: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს  
ასლი: სსიპ-აკრედიტაციის ერთიან ეროვნულ ორგანოს-აკრედიტაციის ცენტრს  
X ასლი: აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციას  
ასლი: საქართველოს დამოუკიდებელ ბუღალტერთა და აუდიტორთა საზოგადოებას

ბატონო ლავრენტი,

თქვენს 2014 წლის 18 დეკემბრის №175 წერილზე გაცნობებთ, რომ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ შესაბამისად საქართველოს სტანდარტების რეესტრში რეგისტრირდება ის სტანდარტები, რომლებიც შემუშავებულია სტანდარტიზაციის საერთაშორისო/რეგიონალური ორგანიზაციის მიერ გამოცემული დოკუმენტების საფუძველზე ან/და რომლებიც მიღებულია სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის მიერ, აღნიშნული სტანდარტები, ადგენენ მოთხოვნებს/პროცედურებს პროდუქციის ან/და მომსახურების მიმართ.

სააგენტოს კომპეტენციაში არ შედის სხვა ტიპის დოკუმენტების, მათ შორის პროფესიული და საგანმანათლებლო სტანდარტების რეგისტრაცია საქართველოს სტანდარტებად.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, გაცნობებთ, რომ საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ჩვენი სააგენტოს წარმომადგენლების

მიერ, კონსულტაციები გაიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წარმომადგენლებთან 2014 წლის ზაფხულში, სამუშაო შეხვედრაზე.

შეხვედრის მონაწილეებსა და შესაბამის უწყებებს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება, აღნიშნულ კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შესახებ, რაც ხორციელდება საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მიერ.

გამომდინარე იქიდან, რომ ზემოთ აღნიშნულ პროცესში სრულად ჩართული იყო თქვენი ორგანიზაციის წარმომადგენელი, სააგენტომ აღარ ჩათვალა მიზანშეწონილად აღნიშნული პროცესის შესახებ დამატებით ეცნობებინა თქვენი (2013/01/15 №008) წერილის საპასუხოდ.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი



დავით ტყემალაძე